

**საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქართველოს ეროვნული კომიტეტის ფინანსური
კომისიის რეკომენდაციები
საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად**

ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, რომლსაც მოყვა ქ. ფოთში ქვეყნის მთავარი პორტის ოკუპაცია და რუსული სამხედრო ქვედანაყოფების მიერ ძირითადი სახმელეთო მაგისტრალების კონტროლი, ICC საქართველოს ფინანსურმა კომისიამ მიმდინარე წლის 26 აგვისტოს საგანგებო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე სხვადასხვა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა ისაუბრეს თუ როგორ აისახა არსებული მდგომარეობა თვითოეული მათგანის საქმიანობაზე, განსაზღვრეს პრობლემები და დასახეს მათი გადაჭრის ის შესაძლო გზები, რომლებიც მათ ომის პირობებში მუშაობის საშუალებას მისცემს.

პრობლემები

დღესდღეობით ბიზნესი ორი ძირითადი პრობლემის წინაშე დგას, რაც გულისხმობს ადექვატური დაფინანსების მოპოვებასა და ფულადი სახსრების სპონგანური მოძრაობის სტაბილურ სისტემაში მოყვანას. მეორე მხრივ რუსეთის ოკუპაციის შედეგად ბიზნესში ბუნდოვანი სურათის შექმნის გამო ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მომუშავე კომპანიებისთვის (გურიზში, საბანკო, მომსახურება, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო და ა.შ.) მომავლი გეგმების დასახვა რთული გახდა.

ბანკებმა ფაქტიურად შეწყვიტეს კრედიტების გაცემა. კრედიტის გაცემის შემთხვევაში კი საპროცენტო განაკვეთი ყოველგვარ ზღვარს სცილდება. არც საგადასახადო სტრუქტურები იჩენენ განსაკუთრებულ ლმობიერებას იქნება ეს დღეს-გადახდა თუ თანხის დაბრუნება. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, რომ დღესდღეობით ხელისუფლებას განსაკუთრებით სჭირდება სახსრები იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ომით გამოწვეული შედეგების გამოსწორება, თუმცა ვთვლით, რომ ბიზნესი პირველ რიგში უნდა გაძლიერდეს, რათა შეძლოს გადასახადების გადახდა და კრედიტების დაფარვა. გვაფიქრებს ისიც, რომ თუკი მდგომარეობა არ გაუმჯობესდა შემდეგი რამოდენიმე კვირის განმავლობაში, ბიზნესმენებს გაუჭირდებათ საკუთარი ფინანსური ვალდებულებების დაფარვა.

იმისათვის რომ, შევაჩეროთ არსებული ტენდენცია, საქართველოს ხელისუფლებამ უახლოეს ვადებში უნდა წარმოადგინოს საგანგებო ეკონომიკური პაკეტი, რომელიც დაეხმარება ბიზნესს ნორმალურად ფუნქციონირებაში.

პრობლემის გადაჭრის გზები/რეკომენდაციები

- ნებისმიერი ჰუმანიტარული დახმარება, რომელსაც ქვეყნის რეკონსტრუქციის მიზნით გასცემს ევროპის ქვეყნები, აშშ, თუ სხვა წყარო, ნაწილობრივ უნდა მოხმარდეს ქართულ საბანკო სისტემაში ლიკვიდურობის აღდგენას. დამატებითი ძალები უნდა იქნას მიმართული საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მთხოვნებზე, რათა შესაძლებელი იქნას, ბანკების ლიკვიდურობის გაზრდის საფუძველზე, საბანკო სისტემის მიერ დაბალ-პროცენტული კრედიტებისა და პრეფერენცირებული სესხების გაცემა.
- ცენტრალური ბანკის მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ სესხების გაცემაზე შერბილებული უნდა იქნას.
 - დაწესდეს 90 დღიანი მორატორიუმი, სესხზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთისა და გადასახადების დაგვიანებით გადახდაზე მიმდინარე წლის აგვისტოსა და სექტემბრის თვეში. მნიშვნელოვანია რომ შემოსხენებული 90 დღის განმავლობაში, საგადასახადო სტრუქტურებმა შეიკავონ თავი იმ კომპანიების ანგარიშის გაყინვისაგან, რომლებიც დადგენილ ვადაში ვერ გადაიხდიან გადასახადებს.
 - საშემოსავლო გადასახადის წინასწარ გადახდა დროებით გაუქმდეს და ერთიანი (კორპორატიული) და ქონების გადასახადების დაფარვა 2008 წლის ბოლოსთვის უნდა მოხდეს.
 - კომერციულ ბანკებს უნდა მიეცეთ საშუალება სესხის უზრუნველყოფის გარანტიად დაუშვან სხვა საშუალებები და არა მხოლოდ უძრავი ქონება. დებიტორების ანგარიშები, სასაქონლო-მაგერიალური მარაგის ღირებულება და მოძრავი ქონებით გამაგრებული უზრუნველყოფის სხვა საშუალებები უნდა გამარტივდეს კრედიტის მიღების პროცედურაც. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი გულისხმობს “მოძრავი და არამაგერიალური ქონების გამოყენების უფლებაზე რეგისტრაციის” კანონის მიღებას.
 - კომპანიებისთვის, ვისაც არ აქვს საქმიანობის დაფინანსების სხვა საშუალება დასაშვები უნდა იყოს ლიზინგი, როგორც სესხის გაცემის ბერკეტი.

ყველა შემოჩამოთვლილი ღონისძიება, მიმართულია ომით გამოწვეული დაძაბული მდგომარეობის შერბილებისაკენ და ქვეყანას კრიზისის დაძლევაში დაეხმარება. ფინანსურ სისტემაში გარკვეული შეღავათების შემოღებით ხელისუფლება დაეხმარება კომპანიებს ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლასა და განვითარებაში.